

იოსეგ დავითაუკილი

1850—1887

ზ. მთაწმინდელის

თბილისი

1887



ՈՐԵՅՑ ԾԱՅՐՈՒԹՅՈՒՆ

1850—1887

36815

Վ. ԶԵՂՅՈՒՄ Ը ԵԼՈՍ



ԹՁՈՂՈՏ

Կումայի լուսական, Ազգային, Հայոց, պատմական, և աշխարհագրական գրադարան

1887

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 апрѣля 1887 года.

მოსეგ დავითაშვილი

I

იყო დრო—და მას შემდეგ აჩც ისე დიდი ხანი გასულა,
რაც ქართველებში ხეირიანი და პატიოსანი პირების არამც
თუ დაფასება იკოდნენ, არამედ სახსენებლათაც კი არ
ცნობილობდნენ! ამის დასამტკიცებლათ ჩვენ რომ შორს
არ წავიდეთ და მოვიყენოთ სამი მაგალითი ჩვენის ცნო-
ბილ მწერლების ცხოვრების ცნობებიდან, მაშინ მე იმე-
დი მაქეს, რომ ჩემი თქმა უმნიშვნელოთ არ დარჩება. აბა
ესთქვათ და ვიკითხოთ: თუ ქართულს ისტორიაში ქარ-
თველ პანეგრისტ მეისტორიინი რას გადმოგვცემენ ცე ეფ-
ხე ის ტყაოსნისა დამწერის შოთა რუსთველის შესა-
ხებ. ჩვენ ვიტყვით, რომ არაფერს! დავით გურამიშვილის
შესახებ არაფერს, ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ და კი-
დევ არაფერს! თუმცა ეს უკანასკნელი ამ საუკუნის ნახე-
ვარში გარდაიცვალა და ბევრნი მისი მნახველნი დღესაც
ცოცხალნი არიან, მაგრამ მისი ამბების გახსენება კი არა-
ვის არაფრათ ეპიტნავება! ასე იყო ძევლათ და ეს ასევე
იქმნებოდა დღესაც, რომ აზიურ მონურს ცხოვრებაში გა-
მოელილ ხალხთა შეიღების დახავსებულს გონებას დასა-
ვლეთის განათლების სხივები არ მოხვდებოდა. დღეს კი

ქართველი საზოგადოება, თავის განათლების კვალათ, საქმეს სხვა ნაირათ ექცევა და ესენი თავიანთ სასარგებლო კაცებს უყურადღებოთ და შეუნიშნავათ არ სტოვებენ; მაღლობა გარემოებას, რომ დღეს ჩენენ იმასაც მოვცესწარით ჩვენ და ჩვენის საზოგადოებიდამ, რომ ესენი არამც თუ განათლებულ და შესანიშნავ პირებს გლოობენ, თუ კი ესენი გვყოლიან ჩვენ, არამედ იმათაც კი, ვისაც ოდეს-მე ორიოდ რამ ლექსი ან სხვა რამე დაუწერიათ და რომელიმე ქართულ ჟურნალ-გაზეთშიც დაუბრუნდიათ. ერთხს სიტყვით ასეთი საქციელი ქართველი საზოგადოებისა და მწერლობისა სწორეთ რომ სასიქადულო და საქებია, თუ რომ მათ გლოვას და დაფასებას უფრო ფარისეველობა არ ექმნება საგნათ.

დავითაშვილის შესახებ მე ამ წერილის წერას მიტომ კი არ შეუდექი, რომ იგი მელექსე იყო და ხანდისხან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დიდის ხევწნა-ლრიტინით თითო-ორთოლა ლექსისაც უბეჭდავდნენ, არამედ მე ამას უფრო იმ ჰაზრით მოვკიდე ხელი, რომ იგი დაბალი ხალხის წრის კაცი იყო, გაუნათლებელი თეორიულის სწავლით და კითხვა და საქმე რომ ყოფილიყო, მათინ იგი ვერც ერთის სასწავლო სახელმძღვანელო კითხვებიდგან პასუხს უკრ მოგცემდათ, მაგრამ ამის წაცულად იგი იყო დიდი მეგობარი დაბალი მუშა ხალხისა და ხელოსან ხალხის პატარა და დიდს შეგირდებში წიგნის გამავრცელებელი და პოპულიზატორი, რომლის საშეალებითაც არა ერთმა პატარა ბიჭმა შეისწავლა ქართული კითხვა. ჩვენ აი ეს გვაქვს სახეში და ყოველი ამ გვარ პირს უფრო მეტს ლირ-სებას და მნიშვნელობას მიესცემთ, ვიდრე იმ გაქსუებულ

მიმართულების მწერლებს, რომლებსაც ეეროპის ბურკუაზების წამხდარი და დამპალი ლიბერალური ფრანგები თავიანთ ნაწერებში ჩვეულებათ შეუტანიათ და ვინც გინდათ და არ გინდათ, ეითომც და ყველა მათვანს კაცობრიობის თანასწორობა და ერის სიკეთე სურს, მაგრამ ეს სულ ოცნებაა და ესენი მხოლოდ თავიანთის წამხდარის მორალურის ქადაგებაებით შზათ არიან, რომ ქვეყნას უშველონ, თორემ საქმით კი არც ერთი მათვანი ერთის გროვითაც არ იქმს მაგალითს და არც უქმნიათ ამ უსულო არსებაების აჩრდილთა ხელოვნურათ განმარტებელთ ციცერონებს; ასეთი ყალიბის წარმავალი ჟამ პაპები არიან ჩვენი ქვეყნის ლიბერალ-მწერლები და ამიტომ ჩვენ ჩვენის განმშვერეტელობით და მსჯელობით ჩვენში ერთ რომელიმე პატიოსან სოფლის მასწავლებელს უფრო მეტს შნიშვნელობას მიესცემთ, ან ერთ ხელოსანს, ვიდრე მათ, რადგანაც ხელოსანი თავის ხელობას რამდენიმე ღარიბ კაცის შველს მაინც შეასწავლის, რაითაც ეს ღარიბის ხელოსან პირებათ მაინც გამოვლენ და ერთ ლუკმა პურს თავიანთ შრომით შესჭამენ. მელექსემ კი რა უნდა ასწავლოს ხალხს? არაფერი, მიტომ რომ მელექსეობა ან თეითონ რა არის, რომ მას ქვეყნის შველა და ხალხის ეკონომიკურათ ფეხზე წამოყენება შეეძლოს, და ანუ ერის ზნეობითი და გონიერი გახსნა, ან ჩვენ მელექსეებს რა განათლება აქვთ, რა ლიტერატურის დიდი ცოდნა და ინტელექტუალური მხარეები, რომ მათთვის მოღვაწეობაც ერთ დიდ რაშეთ ჩაევაგდოთ. რა არის ჩვენებური მელექსეობა, თუ არ თამაშობა და ცეკვა ისეთის კაცისა, რომელიც კუჭ გამაძლარი ტახტზე განისვენებს და ცუდად გდების მაგიერ ლექსებს სწერს და

მით დროს ატარებს. მაგრამ ამითი იგინი დიდ ცოდნას იჩინენ ხალხის თვალში და თავიანთ თავებს ნამდვილ მოღვაწეებათ აცხადებენ. ხალხსაც ასე სწამს ესენი თავიანთ უვიცობის მეოხებით. რა არის ჩვენებური ესტეტიკურ მელექსეობა, თუ არ ცულლუტობა და ისეთი კაცის საქმე, რომელ კაცსაც არც ერთ მეცნიერულ კითხვების ლტოლებილებასთან და ეკროპიულ ნათელ მსჯელობასთან ტეინი არ მოუწვდება და უბრალო მარტივ თეთრსა და შავსაც ვერ განარჩევს. რა არის ჩვენებური მელექსეობა, თუ არ გონების სიჩლუნგის ნაყოფი და უვიცობა, რას წარმოადგენს ჩვენთვის დღეს მელექსეობა, თუ არ ჩვენს ყომარბაზობას და უვიცობას; ჩვენ არა გვაქეს არც ერთი მეცნიერება ჩვენს ენაზე და ამ დროს კი ლექსებით ვუქადით ჩვენს ქვეყანას მომავლის პროგრესს. აი ამიტომ და ამის მეოხებით ჩვენ დავითაშვილზე წერილის დაწერას მიტომ: კი არ შეუდექით, რომ იყო მელექსე იყო და ლექსებს სწერდა, არამედ უფრო იმიტომ, რომ იგი ზემო აღნიშნულ პირთაგანი იყო და ერთი გვარიანი მოსაქმე მუშა ხალხში, თორებ ეს რომ ასე არ იყოს და ამ წერილის დაწერის უპირველეს მიზნათ მისი ლექსების წერა მივიღოთ, მაშინ საქმე ერთობ შორს წავა და მთელი ჩვენი მწერლობაც სულ ამ გვარ მწერლებთა აღწერათ გარდიქცევა, რადგანაც საქართველოს ერი მელექსეობით ისეა მდიდარი, როგორც ზღვაში ქვიშა. მაგალითად ავიღოთ თუნდა ჩვენი თბილისი, სადაც კი უველანი ლექსობენ: საპოზნიკი, ლურგალი, პისარი, მიკიტანი, ლაქია, პოვარი, ბაზაზი, მეწვრილმანე, შეგირდი, ოსტატი და სხვანი, ერთი სიტყვებთ აქ უველა. მელექსევა! არ იფიქროთ, რომ აქ ამ პირებს

მასხარობით ეიხსენებდე მე. ამის უფლება და ბრძანებლობა ჩეენ არა გვაქვს. აქ ამით ჩეენ შხოლოდ იმ დასკვნას გამოვიყვანთ, რომ სჩანს ჩეენ ჯერ ისევ ბავშურ მდგომარეობაში გყოფილვართ. ქალაქ გარეშე სხეა მხარეებიც რომ უახსენოთ, იქაც ასევე დაეინახავთ და რაჭის გლეხობის უმეტეს ნაწილს ხომ სტვირი უდევს პირში და ამბობს ლექსებს ისე, როგორც ჩეენი მკედარის იღიალიზმის მსხვერპლნი მწერლები, რომელნიც ათასის წლის წინათ ყოფილს ერის ცხოვრების სურათებში დაუზინვენ. მთიულეთშიაც ასე ყოფილა ესა და რომ სიტყვა და საქმე იქმნეს; მაშინ მთელი საქართველოს ხალხი სულ მელექსეებათ უნდა ვალეიაროთ და ეს მელექსეები ისეთი დილეტანტებიც გახლავან, რომ ყოველი მათგანი თავის გარყვნილის რამანტიულის მელექსეობით ნამდვილს მამულის შეილობას იმტკიცებს. ჩეენ რომ ამ მგალობელთა ბიოგრაფიათა აღწერაებს შეუდგეთ და დავიწყოთ წერა, მაშინ ამ აღწერაებს მთელი საქართველოს ბიბლიოტეკებიც უერ დაიტყვეს და ყველგან და ყოველს ადგილს შხოლოდ ამათი ნაჯღაშნი ლექსები და ბიოგრაფიები ეყრება. აი, ამიტომ განმეორებით ვიტყვით, რომ დავითაშვილის შესახებ წერილის დაწერის მიზეზათ ჩეენ მარტო მისი ლექსები კი არა გვქონდა სახეში, არამედ ის, რაც ზემოთ დაესახელეთ, თუმცა მის ლექსებს უფრო დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, ვიდრე ისეთის ესტეტიკოს-პოეტებისას, რომელნიც, პრუდონის სიტყვით; გაზაფხულის მერცხლებთაგან და საეკლესიო მგალობლებთაგან არაფრით განირჩევიანო. დავითაშვილი ასეთ მგალობელთაგან ერთობ შორს სდგას და ფირ სულ სხეა დას ეკუთვნის, მისი ლექსის კილო სულ

სხვა კილოა და მისი ძარღვის ცემაც სულ სხვა პატიოსნებით არის სავსე. თუმცა აქ იმასაც თავისუფლათ ვიტყვით, რომ ამის ლექსებსაც აქვს ბევრ ნაირი წვრილმანი ნაკლულეფანებანი, რომლის მსგავსი შეცდომები დღეგანდელის ჭეშმარიტ რიალურის სწავლა განათლების მქონე კაცს ეს აღარ მიეტევება, მაგრამ დავითაშვილზე კი ამას ჩენ ფიქრათაც არ გავივლებთ, რადგანაც იმან ამ გეარის ცოდნისა ბევრი არაფერი იციადა და ის თავის შეგნებითის მიხევდრით უფრო ისეთ მიმართულებას ემსახურებოდა, რაც უფრო უჯობდა მას.

II

როგორც შევვიტყვია ხოლო თვით დავითაშვილისაგან, იგი დაბადებულა 1850 წელში, შარშანაც ასევე სთქვა, რომ მე იცია მეტეოლოგიურ წელიწალში ვარო, თუმცა ხახეზე კი მას ამ ხნობის არა ეტყობოდარა, რადგანაც წვერი და ულვაშები და სახის გამომეტყველება ერთობ ეწინააღმდევებოდა მის ენიერობას. იოსების მამა იყო სეიმონი, რომელიც სკხოვრებდა სოფელ გარდატანაში და იყო ციციშვილის ყმა. იოსები დაბადებულა სოფ. გარდატანაში. ციციშვილს იოსების მამა აუყრია სოფ. გარდატანაში და რუისში გაღუსახლებია და პატარა იოსები კი თავისთან წაუყვანია. შინ ყმა მოსამსახურედ, სოფელი დოესში. იოსებ დავითაშვილი ბატონ ყმობის მოსპობამდე სოფ. დოესში დარჩენილა. ბატონ ყმობის განთავისუფლების შემდეგ ის წამოიყვანეს იქიდამა და თბილისში ჩამოიყვანა.

მისმა ძმამ, რომელიც იმ ღროს თბილისის მოქალაქე იყო და მასთან ავე შეძლებული პირიც.

როგორც შეგვიტყვია ხოლმე თვით დავითაშვილისაგან, მისთვის წერა-კითხვა შეუსწავლებია მის უფროს დას, რომელ ამბავსაც თავის ერთ ლექსითაც ხატავს.

ბატონის სახლში ყოფნის დროს მას უფრო კარგათ გაუკვეთნია ქართული კითხვა, ასე რომ თურმე მოკითხების წერილსაც წაიკითხავდა. იოსები მისმა ძმამ თბილისში რომ ჩამოიყვანა, მან იგი რამდენიმე ხანს თავის სახლში იმსახურა; ეს მას ხან ქვიშას აზიდეინებდა მტკვრიდგან, რადგანაც მტკვრის პირას სახლს აკეთებდა და ხან ტრახტირში ჰყვანდა ჩაის წყლის მომტან მოსამსახურეთ. დავითაშვილი ტრახტირში რამდენიმე ხანს დარჩა და ბოლოს მისმა ძმამ იგი მისცა შეგირდათ ერთ ჩუქურთმის მჭრელ რუსს. იოსები დარჩა რუსთან შეგირდათ მხოლოდ ოთხი წელიწადი და მერმე იგი ისევ ძმამ გადიყვანა თავის ტრახტირში დახლიდათ, მაგრამ იოსები იქ დიდხანს ვერ დარჩა, რადგანაც ვაჭრობაში ვერაფერი. მხნეობა გამოიჩინა. რამდენიმე ხნის შემდეგ დავითაშვილმა ტრახტირის დახლიდრობას თავი დაანება და ისევ თავის ოსტასთან მივიდა, რომ იმასთან ეშუშავნა და ჩუქურთმის მჭრელის ხელობა უფრო კარგათ შეესწავლა. აქ ხელობის უკეთესად შესწავლის გამო რამდენიმე ხანს დარჩა კიდევა და 1873 წელს კი გავიდა ნამდვილ ქარგლათ.

ქარგლობის ატესტატი საბრალომ ვერ აიღო, რადგანაც მისი გადასახადი ფული მას არ ჰქონდა და მის მეოხებით ყოველთვის დიდ გაჭირვებაში ვარდებოდა. იოსებ დავითაშვილი თვის სიკედილამდის ქარგლათ დარჩა და იგი ხში-

რათ სხეა და სხეა სოფულებშიაც მოგზაურობდა და მუშაობდა. ეს ხშირათ საქმეებს იღებდა ხოლმე გორში, ქუთაისში, იმერეთში და უმეტეს ნაწილათ კი თბილისში იყო. უკანასკნელ ხანებში კი, რაკი თბილისში, მათი ხელობის საქმეები შემცირდა, ამის გამო საქმეებს ადვილათ ვერ შოულობდა და ამიტომ მან დაწყობ ჩივილი, რომ უსაქმოთ ვარო. მაშინ იგი თბილისიდამ ჭ. გორში წავიდა და 1884 წ. იქაურ საზოგადო «დეპოს» დახლილრათ დასვეს, მაგრამ იგი არც იქ დარჩა დიდ ხანს, რადგანაც «დეპო» იკეტებოდა და ანგარიშებს ასწორებდნენ ამხანაგები. «დეპოს» დაკეტის შემდეგ 1884 წ. იგი გორიდამ ჩამოვიდა თბილისში და აქ მუშაობდა; რამდენიმე ხნის შემდეგ მას მისცეს დეკორატრობა ბანკისეულს თეატრში, სადაც დარჩა რამდენიმე ხანს და ბოლოს კი აქედამაც გამოუძახეს, რაის მიზეზი ჩვენ არ ვიცით, თუ რამ აიძულათ მისი აქედამ დათხოვა. ასე უმიზეზოთ დაჩაგვრამ და შეურაცყოფამ დავითაშვილია ერთობ აალელვა; გაკვირვებული იყო იგი ჩვენი თეატრის გამგე პირთ ასეთ საქციელის გამო და აღარ იცოდა რა ექმნა და რა ეთქვა! ეხლა კი ჰეშმარიტათ შევიტყვეთ, რომ ჩვენ უველავერში ფარისევლები ვყოფილვართ და ერთმანეთის მომტკუნებელნი და თვალების დამზადებელნი. თეატრიდამ გამოგდების შემდეგ იგი უსაქმოდ დაწოწიალებდა თბილისში და საქმეს ეძებდა, მაგრამ მძიმე საქმის ალებაც არ შეეძლო, რაღაც გული საქმარისად სტკიოდა. 1885 წელს იგი მცირე ხნით ჟურნალ «ივერიასაც» ატარებდა.

«ივერიის» გაზეთად გადაკეთების შემდეგ ეს დარჩა უსაქმოდ, რაღგანაც ამას თვიურ ჯამაგირათ «ივერიის» დატა-

რებაში თვეში 15 მანეთი ცეტხოენა, მაგრამ ამ ჯამავირის
მიცემა სძეირებოდათ, რადგანაც სხეუბი უფრო ნაკლებ
ფასათ სღევლიდნენ! 1886 წლის გასელამდის უსაქმოდ
დაიღოდა და ამ ხნის განმავლობაში იყი დიდს და წარ-
მოუდგენელ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ მად-
ლობა ერთს პირს, რომ ამ ხაზშიაც მას გამოუჩნდა ერთი
ამხანაგი მუშა კაცი, გვარად პ. ჯიხეაძე, რომელთანაც
უფულოთ იდგა ქარხანაში იყი მთელი ორი წლის განმა-
ვლობაში, სადაც ის სჭამდა და სეამდა და რომელშიაც მას
არაფერს ახდევინებდნენ. ეუნდა სისწორით სთქვას კაცმა,
რომ დავითაშვილის ერთად ერთი დამხმარებელი ეს კაცი
იყო, რომელმაც ავათ ნახა და უპატრონა, ჭუჭყიანი ნახა
და აბანოში წაიყვანა, წალები არ ჰქონდა და ამითაც და-
ეხმარა. მე დარწმუნებული ვარ, რომ დავითაშვილი თე-
ლავში არ წასულიყო, მაშინ ის ამ კაცის ქარხანაში
გარდაიცვლებოდა. დავითაშვილის წინაშე ასეთი დახმარე-
ბა სწორედ რომ სამაგალითო უნდა იყოს ამ კაცისაგან,
რადგანაც იმ დროს ჩვენი მოწინავე პირები და მცნობნი
არამც თუ დახმარებას აძლევდნენ, არამედ ტანის სიმყრა-
ლის, დაგლეჯილი ტანთსაცმლის და ტალახიანი ჩექმების
გამო სახლშიაც არ უშევებდნენ. ამ დროს კი ამ ზემოხსე-
ნებულის პირის სახლში დავითაშვილი არამც თუ მოური-
დებლივ შედიოდა. ხოლმე, არამედ შიგაც-კი იდგა და
სცხოვრებდა, სადაც უშისი მყრალი სუნისაგან რთახებიც
კი ყოველთვის. აყროლებული იყო, მაგრამ დახეთ ამ კა-
ცის მაღალ ჟაფიოსნებას და აღმატებით კეთილშობილურ
მუშურ მიმართულებას, რომ ეს მუშა ყველა ამაებს ით-

მენდა და თავის შეძლებისა და გვარათ დაეითაშეიღს შემწეობას აძლევდა.

კეთილი და სამახსოვრო იყოს ამ ხელოსნის ასეთი ხა-
მაგალითო საქციელი და სასურველია, რომ ამ მაგალითს
არამეტ თუ მარტო მუშებშა მიჰპაძონ, რომ იგინი თავიანთ
დაერდომილ ხელოსან მომენტს ხშირად ქუჩის მათხოვრად
და მაწანწალათ არ ხდიდნენ, არამედ ამას მიჰპაძონ იმ
ბურჯუაზ-შემძლე პირებმაცა, რომელთაც შეძლებაც დიდი
აქცით და გარემოებაც ნებას აძლევსთ, რომ მათ თავიანთ
თვალ წინ მყოფ გაჭირებულ პირებს რითმე დაეხმარონ.
საწყალ დავითაშეიღს ბევრი ისეთი პირებიც იუნობდნენ,
რომელთაც შექლებაც კარგი აქცით და ეს შეძლებულნი
პირები ისეთი სამილსისებური მორალური მქადაგებლებიც
გახლავან, რომ ესენი ყოველთვის მხათ არიან, რომ ყოველს
წუთს და ყოველს ალაგს სულ ღარიბებზე და გაჭირებულით
დახმარებაზე ილაპარაკონ, რომ მით რამე სამაგალითო
საქმე მოახდინონ, მაგრამ რაც შეეხება საქმესა და მაგა-
ლითს, ამაზე კი უკაცრავათ გახლავართ, რაღგანაც ამა-
თი დახმარება და სიკეთე ცარიელი სიტყვაა და არა ნამდვი-
ლი დახმარება. ჩეენ შეძლებულ პირთ ესეთი ოსტატური
თვისება აქცით და ესენი ასე ასტატურათ ჰქადაგებენ თა-
ვიანთ მოძლევებას. აბა აეიღოთ თუნდა დაეითაშეიღის
ბევრ მუნობთ და უკნობთ მაგალითები, და მაშინ დაერ-
წმუნდებით, რომ ეს სწორეთ ასეც უნდა იყოს და თვით
ამასეე ამტკიცებს ამ კაცის სიკედილი. პლეშჩევისა არ
იყოს და ისევ შეუძლებელშა მისუა შეუძლებელს შემწეობა.
დაეითაშეიღისაც ისევ თავისიერ წრის პირები ეხმარებოდნენ
ყოველთვის და ყოველგან. ამ ხელოსან პირის დახმარებას

გარდა დაეითაშეილს თავის კვალად ნუკო გიგაურიც ეხმა-
რებოდა, რომელთანაც დაეითაშეილს დაახლოებითი მე-
გომბრობაც ჰქონდა და როცა სხეა და სხეა ქუცუნებში მი-
ღიოდა ეს, მაშინ მას წერილებსაც სწერდა; დაეითაშეი-
ლის მოწერილი წერილების ზოგიერთი ამ ხანებში მე თვით
მიეიღე ამ ხელოსნისაჭან. ეს პირი და დაეითაშეილი ერთად
ყოფილან შეგიჩდათ და ერთ თსრუატთანაც შეუსწავლიათ
ხელობა. დაეითაშეილის გარდამეტებითი საყვარელი პირი
თვის ეს ხელოსანი და ამიტომ იგი თავის ლექსების ზოგს
სულ ამ პირს შემართებს და ორ-სამს ლექს ამ პირის სა-
ხელისაც მიუძღვნის. ამ პირთა დახმარებას გარდა თითო-
ოროლა სხეა ხელოსნებიც ეხმარებოდნენ, მაგრამ მე ამაზ
დასახელებას აქ არ უსაჭიროებ, რადგანაც ეს ერთობ შორს
წავა. მუდმიურ დამხმარებელნი დაეითაშეილისა იყენენ ეს
თრი ზემოხსენებულნი პირნი, რომელნიც მას შეეღლოდნენ
იმ დრომდის, ვიდრემდის ის ქ. თბილისში იმუოფებოდა.

შარშან 1886 წ. ოქტომბერში, ქ. თბილისში, ჩამოვი-
და თელავიდამ ერთი ხელოსანი კაცი, ხელობით სტალი-
ანი, რომელმაც ურჩია დაეითაშეილს, რომ თელავში წაჭ-
ყოლოდა მას და იგი საქმესაც დაჭპირდა.

დაეითაშეილი დიდის სიამოვნებით გაჰყეა მას თან და
იმედოვენებლა, რომ იქნება ეხლა მანც მეშეელოს როგორ-
მეო. წავიდა თელავში საწყალი, მაგრამ, როგორც თიპა-
რით აერ თ-მყოფობით სნეულმა კაცმა, იქაური ზამთრის
ჰაერი ვერ აიტანა და აეთ გახდა. ამ აეათ-მყოფობით მან
იქამდინ მიაღწია, რომ ცამეტ მარტს მის სიცოცხლეს საზ-
ღვარიც მიეცა და ლამის ცხრა საათზე გარდაიცვალა.
როგორც გაეიგეთ იგი სრულიად უპატრონოდ და უსაშეა-

ლოდ მომკედარია. იმის აეათ-მყოფობა დროით არც კი შეუტ-
ყვიათ მის მეგობრებს და როცა იგი სამარის გზაზე ყოფილა
წასული, მეგობრები მხოლოდ მაშინ მისულან მასთან!
მაგრამ საქმე ერთობ გვიან ყოფილა! თავითაშვილი სულ
ხუთი დღე იყო აეათ; ამ დროს იგი დიდ სილარიბეში
ყოფილა ჩაერდნილი, მაგრამ თელავის საზოგადოება მას
ასეთის სილატაკით ვერ იცნობდა! იგი ისეთ მდგომარეო-
ბამდის მისულა, რომ თავის სიკედილის წინა დღეს ერთ
თავის მცნობს მწარეთ შესტირა: «არ გებრალები, რა მდგო-
მარეობაში ვკვდებიო!» თავის ფალის ლოგინ ქვეშ ხელი
შეუყვია და სამი კაპეიკი გამოულია და უთქამს მისთვის:
«აი ამის შეტი მე არათერი მაქეს! ამის გამგონი მაშინა-
თვე გაქცეულა და რეა მანეთი შეუკრებია, რომელიც იმ
საათშივე დავითაშვილისთვის გარდაუცია. მაგრამ ესეც
გვიან ყოფილა. ყოველთვის და ყველგან ასე ეიცით ჩენა,
კაცი როცა გაიწირება, დახმარებას მხოლოდ მაშინ უჩენთ.
კაცი როცა ცოცხალია, მაშინ ის გინდ შიშშილისაგანაც
რომ კვდებოდეს ჩენ მას ზედაც არ შევხედავთ და როცა
მოკვდება. მაშინ კი უისა და ეაის დავიწყებთ. ასეთი მაგა-
ლითები ჩენ ერთობ ბევრი გვაქეს და ხშირად ბევრს ჩი-
ნებულ კაცის უსაქმოდ ყოფნის დროს გაჭირებაში ჩენ
არათერ მონაწილეობას არ ეიღებთ! ან რა საჭიროა, რომ
ასეთ პირთა მდგომარეობაში მონაწილეობა მიეიღოთ და
ვეცადოთ იმის შესახებ, რომ ჩჩავალს ჩინებულ ახალგაზ-
და ყმაწვილებს რამე საქმე უშოვოთ და მით ავაცდინოთ
ათას ნაირ უბედურებას. ჩენთვის ისიც კმარა, რომ ჩენ
თითო-ორიოლა განგებ რამე დაგწეროთ და მით ჩენ ჩენს
თავებსაც სამშობლო ერის წინაშე დაუცხრომელ მოღვა-

წევ გამოეკინოთ. მერე განა ჩეენ ეტყუედებით ამით,
სულაც არა, როცა ვკედებით, მაშინ ჩეენ გამო იწყებენ
ჩეენს გლოვა-ტირილსა და სამაგალითოდ ხდიან ჩეენს
მკედარს და არა კაცურს გაქვავებულ გრძნობებსა. არა რა
საჭიროა თქვენში მზემ, რომ ამით თავი არ შევიწუხოთ,
როცა უამისოთაც საქართველოს განმანათლებელნი გა-
ხლავართ და უეიცი ხალხიც ასე გვთვლის ჩეენა... მეო-
რე დღეს ამ ხსენებულ პირს წამალიც უყიდნია დაეთა-
შვილისთვის, მაგრამ საქმე გვიანდა ყოფილა და წამლის
მიტანის მეორე დღეს 13 მარტის ცხრა საათზე გარდაც-
ვლილა. იგი დაასაფლავეს 15 მარტს, დასაფლავება კი ლირ-
სეულათ მომხდარა: იქაურ ხუროების და ლურგლების ამ-
ქარს პატივი უციათ და დასაფლავებაზედაც დასწრებიან.
დამარხების დროს მის ერთ ამხანაგთაგანს სიტყვაც წარმო-
უთქამს, რომელიც «ივერიის» 64 №-შია დაბეჭდილი.
თელავში დაეთაშვილს ბევრნი არ იცნობდნენ, რადგანაც
იგი სულ ხუთი-ექვსი თვეს მისული იყო და მეორეთ იმი-
ტომ, რომ იგი ყოველთვის ღატაკის ტანთ-საცმლოთ და-
ლიოდა. თელავში ყოფნის დროს, როგორც გარდმიგიც-
მენ, რამდენსამე ხანს იქაურს საზოგადოების «დეპოში»
დახლილრათაც დაუკენებით თავის ხელობის საქმის მო-
პოვების იმედი საწყალს ვერც იქ გამართლებია და სამუ-
დამო შესაფერი საქმე ვერც იქ უშოონია. უმეტეს ნაწი-
ლათ ცუდათ დადიოდაო და ეს სულ იმის ბრალი უნდა
იყოს, რომ ჩუქურთმის მჭრელის ხელობას გასავალი არამც
თუ თელავში აქვს, არამედ სხეა და სხეა დიდრონ ქალა-
ქებშიც არ აქვს.

ასეთ წარმოუდ გენცლის სილა ტაუერიდა ვაი-ვაგლახში გარ

დაიცვაილა ის გლეხი დაეითაშეილი, რომელიც თავის სი-
ცოცხლეში ერთავათ სულ უბედურებას უჩიოდა და მასვე
დაღილინებდა. ეს საბრალო პირი დიდი მნატვრელი იყო
იმისი, რომ გლეხი ხალხიც ეგები გამოვიდეს თავის მდგო-
მარეობიდამ და სწავლა განათლების გზასა და საქმეს
დაადგესო. დაეითაშეილის ყოველს ლექსში ნატვრით და
გულ-მდუღრათ მოსჩანს ის კითხვები, რომ გლეხი
უბედურია, უსწავლელია და მათის ასეოის უბედურებით
სხვები სარგებლობენ და ხელს ითბობენო. ეს თავის ლექ-
სების ერთს ნაწილში სულ ამას ლალადებს და გლეხის
შეილებსაც ხევწნით ემუდარება, რომ:

გლეხისა შვილო, პიჭო ჰაუზა,
ისწავლე წიგნი, ისწავლე ჩქარა,
შემდეგ წიგნისა თოხვა და ბარვა
არა სხვასავით ხევჭვა და ჰარვა.

წიგნის ცოდნა ყოველმა გლეხმა კაცმა სავალდებულო
ალსარებათ უნდა გაიხადოსო და ამიტომ იგი ამბობს:

გლეხებმა წიგნი ვისწავლოთ,
ეს არის ჩვენი გალიო.

ეს იყო დაეითაშეილის უმაღლესი იდიალები და ამით
იმედოვნებდა იგი, რომ ამ სწავლა განათლების საშეალების
მეოხებით ეგები წინ წავიდეთო. დაეითაშეილს ეს შეურ-
ყეველ რწმუნებათ მიაჩნია, რომ სიღარაკე მხოლოდ უსწა-
ვლელ კაცს სწყლავს და სჩაგრაესო. საწყალმა კაცმა რომ
სწავლა მიიღოს, ის მაშინ ამითი ფეხს წადგამს წინა და
გამდიღრდებათ. ეს წინააღმდეგი ჰაზრია და დღეს ეეროპა-
ში არამც თუ გაუნათლებელ პირებში ეხედავთ დიდსა და

წარმოუდგენელ სიღატაკეს, არაშედ თვით განათლებულებ-შიაც. ზოგიერთი ბურჯუაზული ეკონომისტები თავიანთის უსინდისიერის მსჯელობით განათლებულთ ღატაკთ უფრო ხამწუხარო არსებათ სთვლიან, ვიდრე გაუნათლებელთა. ამის საბუთად მათ ის მოჰყავთ, რომ ბევრს ალაგას და ბევრს შემთხვევაში განათლებელი პროლეტარია ზოგიერთი რამ შეა საქმის აღებას ვერ გაჰშედას და ის იქმნება უამისოთ მშეირიც მოჰყედესო, გაუნათლებულ კაცს კი რა დაბრკოლებს ამის წინაღმდეგო, ამას არც არაეის მო-რიდება ექმნება და არც არაეის კრძალვაო. ამიტომ იგი ყოველ ნაირი საქმის გაკეთებას ნეტარებით იკისრებს და ის ამის მეოსებით მშეირიც არ მოკედებაო. ამ მხრით ამ სენის მცოდნე ბატ. ლანდაუც დიდ მნიშვნელობას აძლევს განათლებულთ ღატაკთაცა, რომელთა რიცხვი გერმანია-ში დიდი არისო. დავითაშეილმა რასაკეირველია ესენი არ იცოდა, თორებ იგი თავისაგან ნალაღადებს სწავლას მარ-ცო იმის სატუქლათა და ხლმათ აღარ გახდიდა, რომ იგი მხოლოდ მიტომ შევიძინოთ, რომ შულცე დელიჩის არჩევანიერით მხოლოდ გაემდიდრდეთო. ყველასათვის ცხადი საქმეა და ჟეშმარიტი, რომ თანამედროვე რეალურმა სწა-ვლაშ განათლების საქმე იმიტომ კი არ აღიარა აუკილე-ბელ საჭიროებათა, რომ მის მეოხებით ყოველი გლეხი გამდიდრდეს და ყველა დიდი კაპიტალისტი და მილიონე-რი შეიქმნეს, არა, არამედ ეს უფრო მიტომ გახადეს აუ-ცალებელ საჭიროებათა, რომ თვით ამ სწავლა ცოდნის შეოხებით მოხდეს ისეთი რამ კაცთა მეგობრული მოელე-ნანი და ცელილებანიო, რომ მის მეოხებით ყველანი პა-ტოსნურათ და ძმურათ სცხოვრებდნენო. დავითაშეილის

ასეთის პაზროვნების შესახებ ერთის მხრით ხიზანაშვილმა საფუძვლიანათ შენიშნა «იყერია»-ში, რომ დავითაშვილი ღარიბი კაცის მტიმე ტეირთვის მოხსნას და მოშორების მიზეზათ სწავლას სთვლისო და ამბობს:

ეცალე სწავლა მიიღო,
იგი ცხოვრების ხიდია,
მაშინ გეშველოს ძირს დასდო,
ქხლა რო მტვირთვი გვიდია.

მაგრამ ვინ არ იცისო, ბრძანებს ბ. ხიზანაშვილი, რომ მარტო სწავლა და ისიც მუშა ხალხის შესაფერი სწავლა ტეირთვს ვერ მოაშორებს შრომის მონასო. ეს შეიძლება, რომ სწორეთ ასეც იყოს და ხშირად სწავლას არაფერი სიკეთე მოპქონდეს მუშა კაცისათვის, მაგრამ ნუ თუ ის კი შესაძლებელია და შესაწყნარისი, რომ ამ საშვალებით მუშა კაცმა ერთი ბეჭიოთი მაინც არ წადგას ფეხი წინ, ნუ თუ დღევანდელი გლეხის ცრუ მორწმუნეობისაგან მოშხამული გონიერა დიდათ არ ვნებს მათ საოჯახო ეკონომისა. განა ყველა ის სათაყვანებელი რამეები უარ საყოფი არ არის, რასაც გლეხი პატივს სცემს დღესა და რასაც ხშირად თეთი თავის თავსაც კი მის სამღროთო ზეარაყათ ხდის. სჩანს დავითაშვილს ესეები კარგათ სკოდნია, თორებ უამისოთ იგი სიტყვასაც არ იტყოდა ამახე და იგიც იმ კილოთი და გრძნობით დაიწყებდა წერას, როგორც ჩვენი ბურჯუაზ ესტეტიკოს მელექსენი მწერლობენ. განა ამის თქმა ეპატიება ისეთ კაცს, რომელსაც ერცელი ისტორიული შეხედულება და განათლება აეკ. არა რას წარმოგვიდგენს ძევლი ცხოვრება თუ არ სასტიკ გრძოლას განათლებისას და სწავლისას ძველს გაუნ. თლე-

ბლობასთან. ჩვენ არ უნდა ეციშუებდეთ იმას, რომ რი-
თაც დღეს ჩვენ ვსარგებლობთ, რომ ეს სწავლის შეძენი-
ლია და ერთობ ძეირფასათაც ნაყიდი. ამიტომ ბ. ხიზინა-
შეილო, თქვენს სწავლა მოძღვრების აზრს სულ უმნიშვნე-
ლოთ ვსთვლით. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ უკველი
საგანია, რომ უსწავლელათ ვერცა რას თუით გამოჩენილი
ოვენი გააწყობდა თავის ყაჩალ და ჩათუქესან კაცების
ხასიათების გახსნაზე. მაგრამ მან თავის კეთილშობილურის
სწავლა-განათლებით განაკაცნა იგინი და მხოლოდ ამ
ცვლილების საშვალებით წასწია მან თავის მოძღვრება-
ნი წინ, რომელსაც დღეს «ოვენიზმს» ეძახიან და რომე-
ლი სწავლა მოძღვრებაც ჯერ დღესაც კი შეუდარებელ
სამაგალითო რამეთ ითვლება. ნუ თუ დავითაშვილი გძა-
კიცხია იმით, რომ იგი ხალხის ბეჭნიერების მოსაპოებლათ
სწავლას ფიქრობს და შრომასა, თქვენ როგორ გვინიათ,
იქნება თქეენ იმას ფიქრობთ, რომ დავითაშვილი გლეხის
სწავლას მარტო წერა-კითხვას ეძახის და მარტო ამეცბს
ავედრებს მათ, რომ მათ მხოლოდ წერა-კითხვა შეისწა-
ვლონ. არა ბატონო, ეს ისე არ არის და დავითაშვილს
მარტო ეს არ აქვს სახეში, იმას როგორც წერა-კითხვა
ჰქონდა ჭარათ, ისევე სხვა და სხვა ხელოსნობის და მეურ-
ნების შესწავლაც, რასაც ის ერთობ დიდ მნიშვნელო-
ბას აძლევდა. ამას ცხადათვე ამტკიცებს იმის სტატია
«ცისკარში» და რამდენიმე სხვა და სხვა ლექსებიც, სადაც
იძახის, რომ «შემდეგ წიგნისა თოხვა და ბარეაო» დავი-
თაშვილის ყოველს ამ გვარ მოძღვრებაში ნათლათ ხანს
ის ჰაზრები, რომ იგი გლეხი კაცისთვის ისე არაფერს ხე-
დავდა საჭიროთ, როგორც განათლებასა. ამ მხრით ჰატი-

კი და დიდება მას, რაღანაც მთელი დღევანდელი ძალა
და ყურადღება რაჩეა მიპყრობილი თუ არ განათლიბის
აღორძინებისაკენ. თუმცა თქვენის თქმისაებრ, დაეითა-
შეილს ბეჭრს თავის ლექსებში ერთობ შემცდარი ჰაზრებიც
აქვს შეტანილი და ამ ჰაზრების შეცდომები ისე მის განძრახ-
სურვილებს ამ მიეწერება, როგორც მის გაუნათლებლო-
ბას, მაგრამ ნაცელად ამისა ბეჭრს ამის ლექსებში ნათლარ
და პირ მოუფერებლივ გამოსჩანს ის მაღალ საზოგადო
კეთილმობილური გრინობანი და ლტოლვილებანი, რომ-
ლის ასაღორძინებლათ აგერ ორი საუკუნე მეტია მას
შემდეგ, რაც ერთობის რაციონალური სწავლა-განათლე-
ბის ძალოვნებით აღზრდილი და აღჭურვილი შეილები მის
გარეულებლათ თავ-გადადებით იღებიან, მაგრამ ესენი
თავიანთ ასეთ სწავლას ბეჭრს შეგნებულ პირებში არამც
თუ აერცელებენ, არამედ მას უარყოფილსაც ხედვენ. და-
კითაშეილი თავის ლექსების ლირსებით მხოლოდ მაშინ
დაფასდება, როცა მისი ლექსები შეიკრიბება და ცალკე
წიგნათ გამოიცემა. მანამდის მისი ქება და ღიდება მეტი
იქნება და ამიტომ ხიზანაშეილისაგან დაეითაშეილის შესა-
ხებ ისე უცბათ თავ-გადებით ლაპარაკი და მასხარათ აღე-
ბა ჩენ ერთობ უკანონოთ მიეიღეთ. მაგრამ ეჭ, რასა იქმს
კაცი, დღეს ეს ხიზანაშეილი ის ხიზანაშეილი ხომ აღარ
არის, რომელიც «იმედში» სწერდა წერილებს, დღევანდე-
ლი ხიზანაშეილი სულ სხვა მძალე პატრიოთული მიმართუ-
ლების წარმომადგენია და სუ სხვა შეილთაგანი. ხიზანა-
შეილს დრო ჰქონდა, როცა ის იყო არამეტ, დღეს კი ის
ე' ტეტის ბრმა თაყვანის-შეცემელი შემქნარა და ამ სოფლის

სიამოვნებით საესე ესტეტიკას ერთობ გაუტაცნია. ისია-
მოვნოს მით ვიდრე ღრო აქეს.

როგორც სთქეეს ჩეენშა შესანიშნ დიდრონ ავტორიტე-
ტებიან მწერლებმა, დავითაშვილი არ არის შესანიშნავი
მელექსეო. მათის ფიქრით ეს შეიძლება რომ ასე იყოს
და დავითაშვილი შესანიშნავი მწერალი არ იყოს. მაგრამ
ჩეენ რომ გვითხონ, აქ ჩეენ თავისუფლათ კი იმას წარ-
მოვსთქვამთ, რომ დავითაშვილი არამც თუ არ არის შე-
სანიშნავი მელექსე და მწერალი, არამედ ჩეენ ამის ლექ-
სებს უფრო მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ; ვიდრე იმ შე-
სანიშნავ მელექსეებს, რომელნიც ლექსებს სწერენ, ქა-
ლალდს სერიან, სახელს იტრცელებენ, რომ ვითომე ისინი
დიდი კაცთ მოჟყარენი არიან, თანამერჩობელნი საზოგადო
ჰაზროვნებისა და სხეანი, მაგრამ იგინი დედა-მიწაზე კი არ
დადიან და დედა-მიწაზე მცხოვრებთ ერის ეაი-ვაგლას კი
თვალს არ აელაბენ, არამედ მათ ციურ ანგელოზიეთ
ფრთხები ასხიათ და ცაში დაფრინვენ ტყბილის საგალო-
ბლის საგალობლოთა. კაცმა რომ სთქეას და იყითხოს
თუ ეინ არიან ეს ჩეენი შესანიშნავი მელექსეები, რომლე-
ბიც დავითაშვილზე მალლა სდგანან და რომელნიც ქვეყა-
ნას აყვავებას ჰპირდებიან, ესენი გახლავან ის ჩიტუნია
გერიტები, რომელნიც თავიანთის გეართ-შთამამაელობის
სიუკარულით ერთი რომელიმე განუალყევებულის მოდგმის
ციხე-კოშკი ჰალატთ შეენთ ნანგრევთ მგალობლათაც
გადაქცეულან და დამლერიან იმას, რაც მათ საკუთარ ინ-
ტერესებს შეადგენს. რა არიან ეს გამოჩენილნი და შეუც-
დომელნი მელექსენი, თუ არ შემცდომელნი და გზის დამ-
ზნეველნი ჩეენი ხალხის სწავლა მიმართულებისა. რა მოგვ-

ცეს ამ მელექშვილ ციცერონებმა ჩეენი ხალხისთვის საკითხა-
ეათ? ჩეენ ვიტყეით, სრულიად არაფერი. ამათ დაგვიწერეს
ჩეენ შხოლოდ რამდენიმე ისტორიული ნაწარმობები, რო-
მელნიც სულ წერილმანი ეგოიზმებით არიან გარემოცულნი
და გარდა ამისა ამ ისტორიულ ნაწარმოებთა უპირველესნი
გმირნიც ისეთი არწივები და დათვები ყოფილია, რომელ-
თაც ხალხის ქლეტა, წყვეტა და აუარებული სისხლის ღვრა
ჩალოთ ჰქონიათ მიზნეული! ნუ თუ ასეთი შეუბრალებელი
ყაჩალებისა და საქევყნო ტირანებისა და ავაზაკების ცხოვ-
რებიდამ ცნობებს უნდა იღებდნენ ჩეენი მკედარის ჰაზრო-
ენებით საესე დილეტანტები და ჩეენც პოემებს უნდა გვი-
შერდნენ და ძალაუნებურათ უნდა გვაკითხებდნენ? არა,
რატომ არ იციან, რომ დღეს მეცხრამეტე საუკუნეა, მთელს
განათლებულს ხალხებში ათას ნაირი კითხვები და წარ-
მატებაა და ამავე დროს ჩეენში კი რას ეხედავთ? მათგან
ბერის არაფერს! ჩეენი მოწინავე პირები ისევ ჩეენებურ მამა-
პაპურ შესხმა მეცხოვებობას მისღებენ და ესენი დღეს ერთ
ავაზაკურ ყაჩალს ამკობენ, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს და
ასე და ამ გვარათ ქართულს მშერლობას ასეთის პირებთა
აღწერაებებით აგსაბენ. ეს ძველი ყაჩალები და შეფერები
ჩეენი ბურჯუაზული ლიბერალებისათვის ისეთ იდეალებათ
გამხდარან, რომ ესენი ყოველ ამ პირთ გლეჯა-ტაციანობას
პოლიტიკურს მხარეებისთვის დიდ სარგებლობას აწერენ და
კეყვანასაც ემუქრებიან, რომ აი ასეთი პირები ყოფილანო.
მაგრამ მე კი სამარცხეინოთ მიმაჩნია ასეთი პირების ქება
და დიდება და ვერ გაშიგია: თუ ნეტა ამეცნიერებიდგან რა მა-
გალითები უნდა შეეისწავლოთ ჩეენა და მათის ცხოვრები-
დამ რა უნდა გავიჩადოთ სამაგალითო მისაბაძეთა, ნუ

თუ ჩეენთვის დრო არ არის, რომ მათს ცხოვრების ტი-
რანულ მაგალითების შესწავლას თავი დაეანებოთ. დროა.
ამაების მეოსებით არც ერთს ჩეენს მწერალს არ შეუძლია
სთქვას, რომ ის ისე არეულ-დარეულ მიმართულების და
იმდენი შეცდომებით არ იყოს საესე და გარემოცული,
როგორც დავითაშვილი. ეს უსწავლელი დავითაშვილი
ასეთ რამეებით ისე სპეციალი და ისე ღირსებიანია, რომ
ამას, ამ უკიც პირს, იმდენი შეცდომები არც კი ახევერა
გარს, რამდენიც ჩეენ განათლებულ ესტეტიკოს პირებს.
მაგრამ გინდ რომ სწორეთ საქმე ისეც იყოს და დავითა-
შვილს დიდი ნაკლულეანება ჰქონდეს, განა ჩეენ მას მანეც
ისე მოქთხოვთ თეის ნაკლულეანების შესახებ პასუხს, რო-
გორც ჩეენ ბურჯუაზულ მიმართულების წარმომადგელ პოე-
ტებს, რომელთაც თავიანთის ხელოვნების და ესტეტიკის
მხრით ლექსის სულ საგოგობიჭო სათამაშოთ გაუხდიათ
და თავიანთი დრამა-კომედიებიც ხალხის ზნეობის გასარყ-
ვნელათა. ამ მწერლებს ერთს ხელით თუ სარგებლობა
მოუტანიათ, მიუკომ მეორეს ხელით ენებაც უფრო ბეკრი-
უერცელებიათ, თორემ ამას მათგან აწერილი ტირანთ ქება-
ნიც ცხადათ გეომტუიცებენ. ამათი ერთს დიდება და ბეჭნიერ-
ება სულ ჩეენი ლექსის ძველი ქაჯ-ეშვაკების წამოყენებას და
დამოკიდებული! დავითაშვილი ამისთანა შეცდომებისაგან კი
ერთობ შორსა სდგას და იგი ყველგან იმას ჰქადაგებს,
რომ ჩეენის უკიცობით და ბელოვლათობით სიღარაკეში
ჩაეცილებითო. ამას ამბობდა დავითაშვილი, მაგრამ ეს აწერ-
ება ჩეენ გაზაფხულის მგალობლებს სრულიად არ ეჭა-
შნიკებათ და ესენი სულ სხეას ჰქადაგებენ და ამბობენ.
თუმცა ხანდისხან ისეთ ლექსებსაც სწერენ, სადაც მუშა
ბოქულაძებსაც დამლერიან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთის მო-

სატყუებლათ, თორემ მათ გულში მუშა ხალხის თანაგრძნობას არცა ჰქონდა აღილი და არც ექმნება. ესენი მოადის მწერლები არიან. დრო იყო, როცა ხაბარდებს ამკობდნენ და სტკებოდნენ მით. დღეს დრომ მოიტანა, და მუშა ხალხს ეხებიან, მაგრამ მათ გულში კი ამ ხალხის თანაგრძნობა სრულიად გამქრალია და საქმე რომ იქმნეს პირველათ ესენივე გაპულეფენ მუშა ბოჭულაძეებს. დაერთა შეილი თავის ლექსებით რაც უნდა მისტიკურს მდგომარეობაში იყოს ჩავარდნილი და მისი ლექსების რითმებიც ერთ განუსხვავებულს რასმე წარმოადგენდეს, ჩეენ მაინც იმას ისე დავაუკნებთ ბევრ ჩეენ პოეტებზე მაღლა, როგორც პისარემა კოლუოვი ასწია პუშკინზე, თუმცა მან სწორედ ისეთივე ნაკლულევანება შენიშნა კოლუოვს, რასაც ჩეენც ვაწერთ და ვფიქრობთ დაეითაშეილზე, ასეთი ნაკლულევანება პისარემა კოლუოვის გაუნათლებლობას შეიწერა და აქ - ჩეენც იმას ვიტყუით, ძრიკლის პისარემის მოძღვრებისამებრ, რომ ჩეენც ამასვე ვფიქრობთ განსუენებულ დაეითაშეილზე. მაგრამ რაც უნდა იყოს, დაეითაშეილის ლექსები ისეთი რამ არის, სადაც იორის ოდენი ერთი პატარა ის პაზრიც არ შოსჩანს, რომ ის თავის პაზრით რომელიმე შთამამავლობის ინტერესებს ემსახურებოდეს ისე, როგორც ჩეენმა უსულო არსებათ მოძღვრალ-პოეტებმა იციან. დაეითაშეილის ლექსების საგანი მთელი ერთა და მთელი ერთი ინტერესები. ამის ლექსებში ამ სოფლის ყოველ ნაირი არსებანი ორათ არიან გაყოფილნი და ეს ამ ორ ნაირ განყოფილებისაგან დიდათაც არის აღელვებული. არ იფიქროთ, რომ ასეთი პაზროებით დღეს მარტო დაეითაშეილი იყოს ჩეენში, მის მიმართ

თულების მსგავს ჰაზროვნებას თვით ჩეენს დაბალ ხალხ-შიაც კხედავთ. დაეითაშვილი მხოლოდ გამომხატველია იმ ჰაზრების გრძნობებისა, რაც მის მსგავს ხალხში არსებობდა და ტრიალებდა, და რომელი სურათების გაცნობა და შესწავლა ბევრ ჩეენებურ მწერალთათვის სულ გაუგებარი და უმნიშვნელოა.

ერთ დროს მე და დავითაშვილს ჩხუბი მოგვიდა, რაღ განაც მე ყველა ჩეენი პოეტები უარი ვყავი და ყველას ერთის წადებით სიდამპლის მოლადურები ვუწოდე. ჩეენ ჯერ არა გვაქს ხეირიანი ისტორია, რომ იქიდგან ვიცოდეთ, თუ საქართველოს მეფები რაგორი შეილები და გმირები იყენენ, მართლა ისეთი კარგები იყენენ, თუ არა, როგორც გვიწერადნენ ძველი ტუსლანგა მემატიანები მეთქა. ამიტომ უმჯობესი იქმნება, რომ ჩეენი ისტორიული ფორმალიზმის ბრძან თაყვანის-მცემელნი მათ ქებასა და დიდებას არ სწერ-დნენ და პატარა ფრთხილად ეკიდებოდნენ საქმეს, თორემ ასეთი რამებით ხალხს დიდ შეცდომაში შეიყვანენ და ბოლოს საქმე გვიან იქნება. ასე წარა-მარათ აღძრული ქება და დიდება განვითარებულმა კრიტიკაშ კარგა ხანია მას შემ-დეგ, რაც უარი ჰყო. მაგრამ ჩეენ პროგრესისტ მესტეი-რებს ეკროპიულის განვითარებულის კრიტიკისა არაფრი სწავთ. ამათ თავიანთი საკუთარი კრიტიკა აქვსთ, რომელ კრიტიკის მეოხებითაც ესენი ლამის ქართლოსის საფლავ-ში ჩაცვივდნენ და იქიდამ ამოაძერინონ რაღაც ძველი დიდება, მაურამ აუკილებელი ჭეშმარიტება არის, რომ ეს პანეგრისტ პოეტები, რომელნიც თამარ მეფის სიმშევიე-რით გატაცებულნი არიან და ცაში დაფრინვენ, დიმიტრის ქველის მოქმედებით აოცებენ ხალხს და ბაგრატის მხნეო-

შით და ერეკლეს მაგალითებით ქვეყანას აბეზრებენ, რომ
ასეთები იყენენ და ისეთებით, მე დარწმუნებული ვარ
იმაზე, რომ თვით ამ ავტორიტეტების უფლების მქონე-
ბელთ პირთ დასაცემლათ და გასანადგურებლათ თვით
ესევე ლექსებიც საკმარისი იქმნება მომავალისათვის, რო-
დესაც იცნობენ ამ გერიტუნიებსა და მათ ნაწერებსაც დიდ
სამასხაროთ და საკეირელათ მიიღებენ; რადგანაც ესენი
იმისთანა პირებს უძღვნიან ქება-დიდებას და გვიხატავენ
მათ ისეთი იდეალებითა, რომელნიც თავიანთ სამაგალითო
ცხოვრებით მხოლოდ იქ საბუთებს იძლევიან, რომ სად
ეინ გაყვლიფეს მათ, სად ვინ დასცეს, სად ეინ ააოხჩეს
და სად ეინ მოაბეს ცხენის კუდზედ და ათრიეს. განა ამის
მეტი საქები მოსჩანს რამე ჩვენს ისტორიაში? განა ასეთი
პირების ქება და დიდება სამარცხინო არ უნდა იყოს
ისეთ მწერალ ეალტერ სკოტებისთვის, რომელნიც ამ
მეცხრამეტე საუკუნეში სცხოვრებენ და რომლებსაც სახე-
ზე ეითომება და ქვეუნის წარმატების ნიშნები აწერიათ. მე
დარწმუნებული ვარ იმაზე, რომ ერთ დროს, ამ წარმა-
ტალ მწერალთ ყველა ნაირი ისტორიული პოემები და
ლექსები სულ გადმოიყრებიან ტახტიდამ და დაეიწყებასა
და კრულვა-კიცხვას მიეცემიან და მაშინ კი მშეიღობით
მათნო ქებანო და დიდებანო!.. ეს სიტყვა დავითაშვილს
პირველათ არ მოეწონა, მაგრამ ბოლოს კი ყველაფერზე
თანხობა განმიცხადა. ჩემი ასეთი სიტყვა მას მიტომ უფ-
რო სწყენიყო, რადგანაც ო. ჭავჭავაძის პოემა «მეფე დი-
მიტრი თავ-დადებულიდგან» რამდენიმე ადგილი თავისებუ-
რათ გადაეკეთებინა, რომელიც შემდეგ მან დაბეჭდა კი-
დეც ერთის სიტყვით მე ურჩიე დავითაშვილს, რომ მას

საქართველოს მეფების შესახებ არც კება ეწერა და არც
ძაგება. ამისთვის დიდი ცოდნა არის საჭირო მეთქი, რომ
კაცის ისტორია ნათლათ ჰქონდეს შესწავლილი და წარ-
მოდგენილი, თორემ უამისოთ მეღებსე თავის ლექსებით
ბევრს დიმიტრისთანა და ერეკლე და ეახტანგისთანა პირებს
ქვეყნის დამხსნელათ და მშეელელად გამოხატვენ და ამი-
თი ისტორიასაც დაამახინჯებენ და ხალხსაც შეცდომაში
შეიყვანენ მეთქი. ამასე იგი პირველათ ყოყმობდა, მა-
გრამ ბოლოს კი ყველაზე დარწმუნდა. დავითაშვილი ერ-
თი უწყინარი და უჩინარი კაცი იყო, რომ იმას თავის
საქციელით და მოქმედებით არაეისათვის ენება არ მოჰ-
ქონდა და მე არა მგონია, რომ იყოს იმისთანა პირი, რო-
მელსაც მისგან ან რამე სწყენიყოს და ან რამე მდურეა
ჰქონიყოს. იგი იყო საწყალი, ჩინებულის ხასიათისა, მა-
გრამ უწყალო გარემობისაგან უწყალოთვე იყო დაჩაგრუ-
ლი და უკიდურეს მდგომარეობამდის მისული, მაგრამ მის
ასეთ მდგომარეობაში არაერთ არაფერს მონაწილეობას არ
იღებდა. იგი გადაიცვალა, როგორც ნამდეილი მართალი
და პატიოსანი კაცი და რომელზედაც თამამად შეიძლება
ესთქვათ დობროლიუბოვის სიტყვა:

«Милый другъ, я умираю,
Отъ того, что былъ я честенъ;
Но за то родному краю
Вѣрно буду я извѣстенъ.»

ეს იყო საწყალი დავითაშვილის ერთი უსაყვარლესი
ტაქტაგანი, რომელიც მან შემთხვევით გაიგო ერთ ალა-
გას დობროლიუბოვის ლექსების კითხების დროს. ამ ლექ-
სის შინაარსმა იგი ისე გაიტაცა, რომ ამ სოფლის თავის

დიდებათ მხოლოდ თავის ლექსები მიაჩნდა და ყოველ-
თაუს იმას ამბობდა. რომ მე ამის მეტი სხვა რა მაქს და
ან სხვა რა დამზრუნია, რომ ამის გარეშე მე სხვაზე ვიფი-
ქრო რამეო. მე ჩემ სიმღიღრეთ მხოლოდ ჩემი ლექსები
მიმართავ და ესევე სიმღიღრე დარჩება ჩემ სახსოვრათაო.
ასეთის შეხედულების იყო საწყალი და ის კი არ იცოდა,
რომ იგი ამ ჰაზროვნებით ბერის ვერაფერს გააკეთებდა და
ყოველთვის და ყველგან გზაც გადაღობილი ექმნებოდა.
«ივერიაში» ტყუილათ იყო დახარჯული ის სიტუაციი, რომ
ეითომეტ დავითაშეილს თავის ხელობის ხელოსნები ლექსე-
ბის წერის გამო კითამეტ მასხარათ იღებდნენ და სდევნი-
ლნენ კიდევა, რომ შენ მაგაებით შეგირდებს გვირყენიო-
მე თამამად შემიძლია ესთქა, რომ ესები სულ ტყუი-
ლებია, რადგანაც ხელოსნები დავითაშეილს არამეტ თუ
სდევნილნენ და მასხარათ იღებდნენ, არამედ დიდ პატივ-
საც სცემდნენ მას და ყოველთვის თავახასაც უწევდნენ.
ამის შესახებ შემიძლია მე გაბეჭით ვილაპარაკო და ამა-
ზე ბერი ხელოსნის პატარა შეგირდებიც ვიმოწმო, რომ
დავითაშეილისთვის არც ერთ ოსტატს ერთი უბრალო
შეუჩაუყოფაც არ შიუყენებიათ.

იოსებ დავითაშეილი მე გაეიცანი 1872 წ. ქ. თბილის-
ში. ამ დროს დავითაშეილმა ქართული წერა-კითხვა იმდე-
ნი იცოდა, რომ მას «ქართლის ცხოვრების» პირველი
